Bakhvi HPP

BK1.Cor.Out-230301-01

თარიღი: 01.03.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ (ს/კ: 404591394, შემდგომში „კომპანია“), გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახორციელებს მდ. ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ბახვი 1 ჰესის (10.9 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს (შემდგომში „ბახვი 1 ჰესი“). „ბახვის 1 ჰესის“ ფარგლებში „კომპანია“ გეგმავს გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, 110 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას (შემდგომში წოდებული როგორც „პროექტი“).

„პროექტის“ მიზანია ,,ბახვი 1 ჰესი“-ს მიერთება ელექტროსისტემის ქსელთან 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ეგხ-ს მეშვეობით. ელექტროსისტემის ქსელთან მიერთების წერტილს წარმოადგენს საპროექტო 110 კვ ეგხ ,,ოზურგეთი-ზოტი“, რომელიც უნდა ჩაიჭრას და გაკეთდეს შესვლა-გასვლა ორჯაჭვიანი ეგხ-ს მეშვეობით.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტის (35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება) საფუძველზე, „კომპანიამ“ უზრუნველყო „პროექტის“ თანდართული სკოპინგის ანგარიშის მომზადება.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიში - ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

გიორგი აბრამიშვილი

დირექტორი

შპს " სი-სი -ი -ეიჩ ჰაიდრო VI"

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
01 03 2023 წ.
№ 1653